

F1294
1921



თავისუფალი საქართველო

№ 5. 10 აგვისტო, 1921 წელი. № 5.

F8345

ბოლშევიკების თარაუი ჩვენში

რაც დრო გადის, უფრო და უფრო ნათელი ხდება ბოლშევიკების განზრახვები.

უხეში ძალით, რუსეთის წითელ არმიელთა მხმტებით გვიპარჯეეს მათ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე და იმავე ძალის შემოქმობით ბატონობენ ისინი დღეს ჩვენში.

მართალია, მათ დიდი ამბით ამცენს ქვეყანას, რომ ისინი საქართველოში არ გაიმეორებდნენ კომუნისტურ ექსტრემებს, რომ მხედველობაში მიიღებდნენ და ანგარიშს გაუწევდნენ ადგილობრივი ცხოვრების თავისებურ პირობებს, დიკავდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობას, არ აცვებოდად შურისძიების გრძობებს და არ დაუპირებდნენ დევნის თავის პოლიტიკურ მოპირდაპირეთ მართლ. მათი რქმენისა და შეხედულებისათვის.

მარა მიუხედავით ანეთი სარეკლამო განცხადებებისა და მოსკოვის დალიალამის—ლენინის ამგვარივე ხასიათის ინსტრუქციებისა, ბოლშევიში შემოვიდა საქართველოში ეველა თავისი კომუნისტური ატრიბუტებით და განაგრძობს თავის ბატონობას რუსის წითელ არმიელთა შემოქმობით და ამავე დროს მოკლებულია საცესებით პოლიტიკურ და მორალურ გავლენას თვით ქართველ საზოგადოებაში.

დღეს თვით ბრმაჲ კი ხედავს მათი სასახლო მოღვაწეობის შედეგებს. საქართველოს დამოუკიდებლობის ნიშან-წყალიც ავარ არსებობს. ცხოვრება საშინლათ გაძვირდა, ხალხი სოფელსა და ქალაქებში დიიმშა, გაღატაკდა, სასოფლო მეურნეობა დაეცა, სუსტი მრეწველობა და ხელოსნობა მთლად განადგურდა, ომისა და რევოლუციის დროს გადაჩენილი მამულები და წარმოებანი აოხრდა, ხოლერა, ტიფი, სურავინდი ხალხს მუხრს ავლებს და სადაც გუჲონ ცხოვრება დულდა და გაღმოდულდა, იქ

დღეს სიყვდილი თავის გამარჯვებას დღესსაწაულობს და სამარისებური სიცილიერე მეფობს!

მთელი ქართველი ხალხი სულს დაჟავს ბოლშევიზმის სახით შემოქრულ უცხო ძალის სამხედრო დიქტატურის ქვეშ, მარა ეველაზე უფრო დაზავრული და დევნილი დღეს საქართველოში მუშები და გლეხებია. სწორეთ ისინი, ვისი სახელითაც მოვიდენ აქ კომუნისტები და თითქო ვისი ინტერესების გულისთვისაც მხმგვრპლათ გასწირვს საქართველოს რესპუბლიკის არსებობა. თავისი «სისკით», «ჩრქვიჩიკებით» და ციხეებით ჯერ-ჯერობით ისინი მართო ამ ელემენტებს და მათ მოწინავე ავანგარდს დაატყდნ თავს. მიუხედავით მათ მიგრევე «ნაბომებ» აწნისტიისა, ციხეები საევეს დღეს ძველი მებრძოლებით, რომელთაც არა ერთი და ორი წელი გაუტარებიათ მეფის სატუსალონებში, კომბრისა და კატორღაში. ბრალდების წაუჯანებლათ, ჯგველგვარ მიზნის გარეშე ატუსაღებენ ეველა ცოტათ თუ ბევრათ შემწეულ მოწინავე მუშას და სოციალ-დემოკრატ ინტელიგენტებს. ატუსაღებენ და კრიაბ ბინჯურ სკანებში, სადაც არც საქმელია, არც წამება და არც სხვა რაიმე პირობა ადამიანური ცოვრებისა. თავის ბრანშორვეულ შურისძიებაში ისინი აუარბებენ თვით მეფის ჯანდარმეიას—მიცავთ ლოგინიდან შიმე ავითმოკლები.

ამ უმაჯალიო თვითნებობისა და თარეშის მიხანი ერთია—დაამინდ ქართველი ხალხი, მოშალონ მისი ოპოზიციური სულისკვეთება, ხოლო თავისი პოლიტიკური მოპირდაპირენი მექანიკურათ მოიშორონ თავიდან.

მარა კითხვა იბადება: აღწევენ ან მიადწევენ ამით თავის მიზანს ჩვენი ბოლშევიკები?

რასაკვირველია, ვერა! ზიხლთ და გულჩათხრობილი მორსხანებით შეხვდა ქართველი დემოკრატია ბოლშევიკების

საქართველოს
ქართველი
ბოლშევიკები



შემოსვლას საქართველოში და დღეს, მათი 5 თვის ბატონობის შემდეგ, კიდევ უფრო მეტ სიძულვილს გრძნობს იგი მთლადში. ქართველი საზოგადოება შემთხვევას არ უშვებს, რომ ხაზი გაუსვას თავის უარყოფით დამოკიდებულებას ბოლშევიკურ რეჟიმის მიმართ. სოფელში თუ ქალაქში, შიტინგებზე თუ კრებებზე, ქუჩაში თუ ოჯახში, წარმოდგენის დროს თუ ეკრძა შეხვედრისას—ცველავ ბოლშევიზმი და მისი წარმომადგენლები სიძულვილისა და დაცინვის საგანს წარმოადგენენ.

დღესაც ისე, როგორც გუშინ მთელი ერის ოპოზიციონერ მოძრაობას სათავეში უდგას ქართველი მუშა. იგი უშიშრათ და პირდაპირ ებრძვის კომუნისტურ რეჟიმს ჩვენში. ამ მხრივ მეტად საყურადღებო იყო 7 ივლისს ჩაძალადვეში გამართული დიდი კრება მუშებისა, სადაც მოხსენებით გამოვიდა მოსკოვის კომისიარი სტალინი—ჯუღაშვილი. ვერ უშველა ვერც სოფისტიკამ, ვერც მისა «მოთაფლულმა» ენამ. წამ და უწუმ გაისმოდა რეპლიკები: «სიცრუეა», «მოღალატეობაა» და სხვ. და როცა ტრიბუნაზე გამოჩნდა ბოლშევიკების მიერ უკვე არა ერთხელ «დასამარებელი» სოციალდემოკრატები, კრება მოიკცა ისეთმა ვნტუზიანობა, რომ თვით სტალინიც დარწმუნდა, რომ ბოლშევიზმის საქმე საქართველოში საბოლოოთ წაგებულა. იმის მაგიერ, რომ «დიდ კომუნისტს ჩვენი მუშების გული მოენადირებია და «განდგომილი» მოეშინაურებია,—მან მიაღწია სულ წინააღმდეგ შედეგს: კრება გადაიქცა—უდიდეს ანტი-ბოლშევიკურ დემონსტრაციათ. და ეს იმის შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა თავისი ტერორისტული მეთოდი უკვე ფართოდ სცადეს საქართველოში!

ამ კერძო ფაქტში ნათლად იხატება საქართველოს მუშათა კლასის და მთელი დემოკრატიის სულის სიმტკიცე და სიდიადე. მიუხედავად საშინელი გაკვირებისა, სიმშობისა, დამცირებისა და დევნისა, მიუხედავად იმისა, რომ მოპირდაპირეს პატარა ქვეყანა უქირავს ნახევრად ველური სალდათის ჩემპის ქვეშ, ის მაინც გულს არ იტეხს, სულით არ ეცემა, მომავალს იმედით შესცქერის და ხელფეხშებორკილი და დამუნჯებული მაინც პოულობს საშვალებას ბრძოლისას და აქტიური მოქმედებისას. ლუკმა პურს მოკლებული; იგი უმაღლესი დივანები-

სათვის თავს დებს და კომუნისტების კულუქურ შემოძახილს ამაყათ უპასუხებს: «ვერ გავცტებთ, ვერ დაგვიმონებთ!»

ეს სულსიკვეთება, რომელიც ახასიათებს არა მარტო საქართველოს მუშათა კლასს, არამედ ერის ცველა ცოცხალ ძალებს, თითო-ორთა გარეწარისა და ორიოდ სპეკულიანტის გამოკლებით—ეს სულსიკვეთება მომასწავებელია იმის, რომ არ მომკვდარა საქართველო და მისი დამოუკიდებლობა: იგი უტკუარი თავდებია იმის, რომ დროებითია უცხოელთა უხეში ძალის ბატონობა, რომელსაც ვერასოდეს ვერ შეითვისებს და ვერ შეიგუებს ჩვენი ხალხი, ჩვენი ცხოვრება!

მოსკოვის ჯალათებს და მათ ქართველ ლაქიებს შეუძლიათ კიდევ მოაჯარონ საქართველოს შიშველ-ტიტრევილი და შვიცი წითელ-არმიელები, მათ შეუძლიათ მეტის ენერგიით აამუშაონ ჩრტხეჩიაკები და გააძლიერონ დევნა და შევიწროება, მარა ისინი ვერასოდეს ვერ დაიმორჩილებენ ქართველ ხალხს, რომელსაც სურს სიცოცხლე და უკუარს თავისუფლება.

ამის თავდებია ჩვენი მუშათა კლასის 30 წლის სახელოვანი ბრძოლის ისტორია, ხოლო ქართველი ხალხის ათასწლოვანი კულტურა. ამის მკურმეტკველური დამამტკიცებელია მისი დღევანდელი საქციელიც.

საქართველო მალე აღსდგება! ის მალე კვლავ მოიპოვებს დაკარგულ თავისუფლებას! ეს სწამს ქართველ ხალხს, ამისთვის იბრძვის იგი.

და, ამ ღრმა რწმენით აღკუთრული ჩვენც ვეტყვით ჩვენი ქვეყნის ჯალათებს:

განაგრძეთ თავისი ბნელი მუშაობა! რასაც მეტს იერთუვლებთ, მით უფრო დაუნდობელი იქნება ისტორიისა და ხალხის სამსჯავრო თქვენს მიმართ!

დაგვიხუთი რუსეთი და საქართველო.

რუსეთი დაიშვა. მრავალ მილიონი ხალხის უბედურების ხმა წეცამდე აღწევს. მთელი ქვეყანა შეაძრწუნა იმ საშინელების სურათმა, რომელსაც დღეს რუსეთი წარმოადგენს. სადაც ყოველთვის ბევრი იყო პური—იგი იგი დღეს ცველავ ნაკლებია, უფრო მტირე მოსავლიან



ადგილებში კი შეიძლება თავი მაინც გაიტანან.
რა არის ამის მიზეზი?

კაცთ მოყვარეობის და მშვირთა უსაზღვრო ტანჯვისადმი სიბრალულის გრძნობით გამსჭვალული საზოგადოება დღეს ამას დიდად აღარ დაეძებს. თვით დევნილნი და ბოლშევიკების წინააღმდეგ სასტიკათ მებრძოლი რუსული პარტიებიც ორპოლოდებენ, ირყევიან. და გათავებდებული მოსკოვის კომისრები—მათვე ესზმიან თავს, მენშევიკ-ესერებია შიშობილის მიზეზნი და ამათვე უნდათ გამოიყენონ ეს უბედურება თავის პოლიტიკურ მიზნებისთვისა.

აი უსიკვებელი უტიფრობა! კების შებრუნებას რომ იტყვიან, აი ეს არის.

ცხადია მოსკოვის კომისრები სარგებლობენ თავის ბატონობის შესარჩენათ თვით ადამიანთა უკეთილშობილესი გრძნობებითაც და კრემლში გასამაგრებლათ ეწვევიან ახალ-ახალ ინსინუაციებს. მით უმეტეს საჭიროა გამოკვლევა შიმშილის მიზეზების.

რამ დაშშია რუსის ხალხი? განა მარტო სტიქიური მოვლენა არის აქ დამნაშავე? რასაკვირველია არა. სტიქიური უბედურებანი, უწვიმო ზაფხული წინეთაც ყოფილა; მარა მოწყობილი საზოგადოება მის გამანადგურებელ გავლენას გადაჩრენია. დღეს რათ ვერ გადაჩრახ? სრულიად უბრალო მიზეზით. საშინელ მსოფლიო ომით მოქანტულ და ახორციულ ქვეანაში რომღ შევიკებმა დაანთეს კიდევ ცეტხლი სამოქალაქო ომის, რამაც კიდევ უფრო ღრუთავა ხელი ქვეყნის განადგურებას.

ხოლო მათ თავის უმსგავსო პოლიტიკით დაანგრის და მოსპვს ხალხის თვით-მოქმედება, გააუქმეს წარმოება, დაარბიეს სოფელი და გლეხს ყოველი ხალხისი დაუკარავს მუშაობის, დაბების, დათვისის, კარგი მოსავლის მოყვანის. ან რათ უნდა დაეთესათ? დათესილს წითელი კავალტრია დაუთელავდა, მოწეულ პურს ნაოფლარს, ნაწამებს—წითელი კომისრები იარაღით ხელში წაართმევდნენ. და აი გლეხიც იძულებული გახდა იმაზე მეტი არ მოენება, რამდენსაც თავის საჭიროებისათვის იყარაუდებდა. ამით სახნავ-სათვის ერთი ათათ შემცირდა, ზოგან მეტათაც. და აი ასეთ პირობებში სტიქიის ერთი უღმობელი გამოქროლა, ერთი უწვიმო ზაფხული საკმაო იყო, რომ ას მილიონიანი ხალხი ხელფხვ-შეკრული ჭაჭარდნოდა მტკიცა-

ლებში შეუბრალებელ სიკვდილს. მოსავალი მოსპო სიკვებ, ხოლო მარაგი რაც იყო, ის შთანთქმეს კრემლის საჩაღებმა თავის კომისრებით და წითელ არმიით, რომელნიც ამავე ბანდიტების სადღევრძელოთ ხოცავენ ხალხს და იმონებენ თავისუფალ ერებს.

სადაც მეტი იყო ჩვეულებრივ პური, იქ შექმნეს ძლიერი ამკრეფი აპარატები და ხალხს უკანასკნელი სინსილა გამოაცალეს. და აი დატრიალდა მოულოდნელი სურათი: წინა წლებში ხალხი ჩრდილოეთის გუბერნიებიდან გამოიბოდა ამ პურის რაიონში, რომ აქ თავი გამოეკვება, ახლა კი ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთათ მიეშურებიან, მიზიან, სადაც თვალს მიუწევდებათ.

მიგორავს ეს უსაზღვროთ დამშეული ზღვა ამბობკრებულ ხალხისა და გზაზე სტელეკს და სპობს, როგორც კალია, ყოველივეს, რაც შეხედება: ქალაქი, სოფელი, მიწდგრის თავი, გლეხის ცხენი, უმწიფარი პური, მწვანე ბალახი, ხის ფოთოლი, ქვჩქი თუ სხვა რამ, რის გაცვენეტაც კბილით შეიძლება...

ღიან, ბოლშევიკების თარეშმა შექმნა ეს უმცალითო ტრაგედია. წითელ არმიას და ტროცკის «ნაპოლეონობის თამაშს» შეეწირა ეს მილიონობით ხალხი. და ჩვენ ვამბობთ, სანამ ეს ვაგბატონებთ იქნება ქვეყნის სათავეში, სანამ ისინი განაგრძობენ თავის უტეშ იმპერიალისტურ პოლიტიკას, სანამ მრავალ მილიონიანი წითელი ჯარი მშვიერი და მწყურვალე იარაღით ძარცვავს შინაურს და გარეშეს, რუსეთის ხალხის საშინელი ტრაგედია არ შემსუბუქდება და არ შემსუბუქდება ამასთან ერთად ტრაგედია იმ ერების, რომელნიც კომუნისტთა იმპერიალისტმა იმსხვეგრბა. საქართველო, სომხეთი, სუბანი და სხვ. რიგში არიან სიმშვილით გასაწყვეტათ იმ განსხვავებით, რომ მათ ასე დიდი ლეირილი არ შეუძლიათ, როგორც 150 მილიონიან რუსეთს, იმ განსხვავებით, რომ მათ აბრჩობენ წითელ ჯარით და ახუმებენ მათივე საშვალებით, იმ განსხვავებით კიდევ, რომ მათ ვასაქცევი არსად აქეთ და იქვე უნდა ჩაკედნენ, სადაც წითელი ჯალათი მოუსწრებს...

კრემლის საჩაღების მთელი მოღვაწეობა—ეს სიკვდილის ცელის ტრიალია. და როცა მთელი კაცობრიობა, და მათ შორის მთელი ქვეყნის მუშათა კლასი პირველ რიგში, აღსდგა, რო?



ხელი გაუწოდოს ამ ტანჯულ ხალხს და უძირა ზღვა მისი უბედურებისა—ოდნე მაინც ამოსწუროს, ჩვენ გვინდა ამ კეთილშობილ, ჰუმანიურ გრძნობით გამსჭვალულ საზოგადოებრივობას მოვაგონოთ ბედი რუსეთის ხალხთან ერთად დღეს გადაჯაჭვულ პატარა ერების.

ჩვენ გვახარებს და ფრთას გვასხამს ადამიანურ გრძნობათა კვლავ გამოღვივება საშინელ ომისაგან გაგულქვაგებულ ადამიანებ შორის. ჩვენ იმედს გვიღვივებს და სასიამოვნო გვიძლიერებს, როგორც დაზარალებულ ხალხს და სოციალისტური დროშის ქვეშ მდგომს, ის დიდი ფსიხოლოგიური გადატეხა, რომელსაც დღეს აქვს ადგილი ევროპასა და ამერიკაში.

ხისხლის ღვრას შეჩვეული საზოგადოება დღეს სისხლს გაუტრბის, ვაქცევებული გული—გალმობიერებულია. სიყოფილე ადამიანს, რომელიც ჩაღა დასაძლავ, კვლავ თავის ღირებულებას პოულობს, სოლიდარობის გრძნობა, რომელიც მიმჭრალი იყო, კვლავ—წინ დგება. ლოზუნგი: ვაი, წაქცეულ და დამარცხებულთ—ახალი ლოზუნგით იცვლება: დახმარება ტანჯულთ და გვერდებულთ. მაგრამ ეს გამოღვივებული გრძნობა, ეს ანობოქრებელი კულტურა ევროპის საზოგადოებრივობის ახლა მეორე უკიდურესობაში ეარდება.

გავვიშვიტო საოქმედოთ, გავვიშვიტო დასახმარებლათ, თქვენ ხელი არ შეგვიშალოთ, არც ჩვენ შევიშლით ხელს. აი აეთითა საერთო ლოზუნგი ქველმოქმედებით გატაცებულ მუშების და მთელი საზოგადოების, რომელმაც მთავრობები და პარლამენტებიც კი ჩაითრია, და აი ჩვენ გვეშინია ერთის: კრემლის ყაჩაღები კვლავ განაგრძობენ თავის ბნელ საქმეს და ახალ-ახალ ადგილებს განადგურებენ. შიმშილის საშინელება შექვეს წითელ არმიას, სადაც ის შეიჭრება. დღეს კი ის საქართველოსა და სომხეთის საშინო ბატონია. და ეს ქვეყნები კენსიან საშინელი განცდისაგან—შიმშილი აქაც უკვე საყოველთაოა, მისი თანამგზავრი—აულერა, ტიფი და სხვ. სენი აქაც მძვინვარებს. საზოგადოებრივობა აქაც ჩაკლულია და მიწაზე განართუილი, ან ციხის ბნელ საკნებში გამოაწყვედული. და მათ არ ასცდებთ უარესი ბედი, ვინემ შიდა რუსეთს, თუ კაცთმოყვარეობის გრძნობის ნაყოფი მათაც დროზე არ მისწვდა.

დიდი ომის გრძალში და მსოფლიო ბატონობისთვის უბედურებაში მიაყენებდათ პატარა ერები, რომელთა განთავისუფლება კვლავ ერთ-ერთ ლოზუნგათ ქონდა წამოღებულნი და რომელნიც მაინც შეუბრალებლათ და განუკითხავათ იუკლიტებოდნენ. და ახლაც ჩვენ გვეშინია, კაცობრიობული გრძნობის უქმნდვს გამოხატულების დროს—დიდი ერის დიდმა ტრაგედიაში კვლავ არ დაღაროს ტრაგედია პატარა ერების... და ჩვენ კვლავ ვაგონებთ კაცობრიობას წითელ ჯარის მძიმე უღელ ქვეშ მგმინავ, დამშუულ, აწოკებულ პატარა ერების ბედს და მდგომარეობას. დეე ამათაც მიწვდეს შეხვი კაცთმოყვარეობის.

ხუ თუ ისინი უნდა დარჩნენ ამ წითელ სეაების ნელში, რომელნიც მათ უკანასკნელ სისხლს გააოსრვინ და შემდეგ სიკვდილს მიუგდებენ ამოსაყლტათ?

მოულოდებო გერმანიის სოფ. დეე გელაღვივის.

გულ-შეშინარავი მოწოდება, რომელიც მოდის რუსეთიდან მოეღი ქვეყნის სახელზე, უნდა ყველამ ისმინოს და გაიგონოს, მრავალ მილიონ ხალხს მოვლის პირდაპირ გაყლტვა შიმშილით სიკვდილისაგან. ამასთანავე ქვეყანას მოედო უძლიერესი, დიდი ხნის უნახავი ზოღერის ეპიდემია.

უსასწინლეს ტრაგედიას განიცდის მთელი ხალხი.

და ცოცელი ადამიანი, რომელსაც აქვს გრძნობა, უნდა დაეხმაროს რუსეთის ხალხს, ეს მისი წმინდა და უდიდესი მოვალეობაა. ამ უსასწინლესი უბედურების წინაშე უნდა უკანა რიგზე დადგეს ცოველგვარი პარტიული უთანხმოებანი და განსხვავებანი, როგორც გარეთ, ისე თვით რუსეთში.

რუსეთის მთავრობას, რომელმაც კვლავ პარტიებს მიმართა საზღვარ-გარეთ, შეეძლო დიდი შედეგებისთვის მიეღწია, თუ ის განუტრეველად პარტიულ რწმენისა შეიერთებდა კვლავ ელემენტების ხმას, რომელთაც სურთ დახმარებაში მონაწილეობა მიიღონ. აუცილებლათ საუკიროა მათ საშვალება მიეცეს თავისუფლათ და ხმა-მალა თავის აზრის გამოთქმის.

ამავე დროს რუსეთის დიდი გაჭირვების მიუ-



საქართველოს
თავისუფალი
საქართველო

ხედვათ, არ უნდა დაგავიწყდეს ის ქვეყნებიც, რომელნიც ბოლშევიკურმა რუსეთმა ამ უკანასკნელ ხანებში დაიპყრო. ჩვენ ვამბობთ კავკასიასა და თურქესტანზე.

ეს ქვეყნები, დაპყრობილი, გაყარული და დამონებული 200,000 წითელ არმიელებისაგან, სწრაფი ნაბიჯით მიექანებიან იმავე სიღატაკისა და შიმშილობისაკენ, რომელიც მეფობს დღეს რუსეთში, მაგრამ ეს ქვეყნები არ თხოულობენ დახმარებას. მათ უნდათ ერთი რამ: რომ მათ საშვალეება მიეცეს თვითდახმარების, რომ გათავისუფლებულ იქნენ წითელ არმიელებისაგან, და აღდგენილ იქნეს მათი დამოუკიდებელი თვითმმართველობა.

ცამდე მალადღებელი წინააღმდეგობა იქნება ის, რომ რუსეთმა განაგრძოს სხვა ხალხების ჩაგვრა-აწიოკება იმ დროს, როცა თვითონ მთელ კაცობრიობას, ყველა, ვრს განურჩევლათ რწმენისა და საზოგადოებრივ წყობილებისა, მიმართავს დახმარების თხოვნას.

დახმარების მოწოდებაც თვით რუსეთში უფრო ძნელია, ვინემ ამ დაპყრობილ ქვეყნებში. არაჩვეულებრივმა უწვიმობამ მოსპოა ნათესი რუსეთის სწორეთ ცველანზე უფრო მოსავლიან რაიონებში, სოფლის მეურნეობა ყველგან დანგრეულია, რკინის-გზების მიმოსვლა შეწყვეტილია, ქალაქთა სანიტარული მდგომარეობა საშინელებაა, უკანასკნელ ხანებში გაქრა ყოველი იმედი სისუფთავის და ვის.

ამ საბედისწერო მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანათ საქირთა ვრის ყველა მომჭმელი ელემენტების საქმეში ჩაბმა, საქირთა პოლიტიკური ოპციისა და პოლიტიკური ჩაგვრისაგან საზოგადოების განთავისუფლება.

რუსეთის ხსნა არ არის, თუ იქ არ დამკვიდრდა თავისუფლება!

მარა მას ესაქირთება გარედან დახმარებაც და ამ დახმარების გაწევა არ შეიძლება თვით საბუთთა რესპუბლიკის პოლიტიკურ ურთიერთობას დაუქვემდებაროთ. გაისმოდა ხმები, რომ გაბატონებული პოლიტიკური სისტემა არის პასუხისმგებელი ასეთი საშინელი უბედურების ქვეყნის თვის დატკლამაში. ამ ხმებმა არ უნდა შეუშალონ ხელი დახმარების მოწოდებას და არ უნდა შეასუსტონ სურვილი დახმარების. მით უმეტეს, რომ საქმე ეხება არა მარტო რუსეთის ხალხის გადარჩენას, არამედ ამდენათვე თვით ჩვენი თავის გადარჩენასაც. რუსეთში ეპიდემია იმდენათ დიდია და დრთო, რომ ადვილათ შეიძლება მის საზღვრებს გასცილდეს, თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები მის შესაჩერებლათ.

როცა სახლი იწვის, არ კითხულობენ, დამნაშავეა თუ არა თვით სახლის პატრონი ცუცხლის გაჩენაში. პირველ ცოცხლის ცდილობენ გადაართონ, რის გადარჩენაც კი შეიძლება, და სასწრაფოთ ჩააქრონ ცუცხლი.

ამიტომ ჩვენ მთელი სულით და გულით ვუერთდებით საერთო ამოაბილს:

დაეცმარეთ გაუბედურებულ, დამშუულ რუსის ხალხს, ის არ უნდა გახდეს იმ ცოდების პასუხისმგებელი, რომელიც მის მართველებს მიუძღვის.

ხოლო მმართველებს ჩვენ მივმართავთ შემდეგი მოწოდებით: მოაცილეთ ჯაჭვი იმ ხალხებს, რომლებზედაც ბატონობს დღეს რუსეთის სახელმწიფო, განთავისუფლეთ ის ძალები, რომელნიც მიისწრაფიან, რომ შეუშუბუქონ ხვედრი დამშუულთ და ხსნა მოუტანოთ დახმარულთ.

ედ. ბერნშტეინი.

კარლ კაუტცი.

საქართველოს აჯახი.

გაფიცვა. დაიწყო გაფიცვები დაწესებულებებში (ფოთში) იმ ნიადაგზე, რომ არსად ჯამაგრის არ აძლევენ ფულის ნიშნების უქონლობის გამო. ფულის უქონლობა კი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მეთერთმეტე არმია დეპატარონა ფულის დახგას და დამბუცილიდან რეკომს აღარ აძლევს მცირე ნაწილის გარდა. მე-11 არმია კი იმითმ დეპატარონა ქართულ ფულს, რომ რუსეთიდან გამოგზავნილი სხვა და სხვა დროს სამი ვაგონი ფული გზაში მანამ წაართვა.

არჩევნები რკინის-გზაზე. რკ.-გზის არჩევნებში ბოლშევიკები ცველგან მარტლებიან, მაგრამ ისინი ზევიდან რიწნავენ თავის კაცებს. მაგალითად, ბათომში, როცა დამარტდენ, არჩევნები ჩაშალეს და დანიშნეს თავის კაცები.

«ჩეკას» მოხსენება. ბათომის «ჩეკა» აუწყებს თფილისს, რომ მდგომარეობა სერიოზულია, ბოლშევიკები ბეწზე კიდიან, მუშები უკმაყოფილონი არიან. ყოველ ფების ნაბიჯზე იმართება «ნეპოკონალისტების» კრებები და



მოსალოდნელია აჯანყებაო. ამიტომ, ისინი თხოვლობენ ძალის მოშველებას. ამ თხოვნაზე მათ მიიღეს ჯავშნიანი მატარებელი.

სამეგრელოში. მთელი სამეგრელო «ყაჩაღების ზელშია» — აცხადებენ ბოლშევიკები. ეგელა კუთხიდან მათ მიერ დევნილი ელემენტები სამეგრელოში გადაიხვეწენ და იქ შეაფარეს თავი.

აბრეშუმი. წელს აბრეშუმის ცუდი მოსავალია. ხალხმა, რაც მოვიდა, ძაღთ ამოახვია, რომ ბოლშევიკებისთვის არ ჩაეგდო ზელში ჩალის ფასათ.

ხოლერის საშინელებანი. თფილისში ხოლერა მძინვარებს, დღეში 40—50 კაცამდე იხოცება. უმთავრესათ ხოლერა შეიქრა დამშეულ ინტელიგენტურ წრეში და მუშებში. ხოლერიან ავთამყოფთა მოვლა-პატრონობას ვერ ასწრებენ, რადგან საავთმყოფოები მთლათ გავსილია ავთამყოფებით და ექიმთა პერსონალიც არ ყოფნით.

მუშებში. თფილისის მუშები გაფიცვის წინაშე დგანან. მუშები აბსოლიუტურ შიმშილს განიცდიან, დღეში იღებენ $\frac{3}{4}$ გირ. პურს.

ტრამვაი გაჩერდა. თფილისის ტრამვაი ეს ნახევარი თვეა სრულიად დადგა, რადგან სავარგისი ვაგონები ყველა მოსკოვს გაგზავნეს.

პრესა. გარდა ბოლშევიკების გაზეთებისა გამოდის მხოლოდ «სოც.-ფედ.» გაზეთი.

ქართული ენა. რევკომის დამატებითი განმარტების თანახმათ ქართული ენა დაწესებულებებში უნდა იხმარებოდეს შეძლების და გვირათ, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ის სრულებით არ იხმარება.

ოსთა თარეში. ქართლში ოსები ისევ განაგრძობენ თარეშს. სომხის ლტოლვილთა შემოხიზვნაც გრძელდება.

ხევსურეთის აყრა. ხევსურებმა განიზრახეს დუშეთის რაიონის თავისუფალ ადგილებში ჩამოსახლება, მარა რევკომმა ნება არ დართო. ამავე დროს რუსების და სომხების თხოვნით თავის სამოსახლოდან ყრიან გომბორის ხევსურებს.

მოსავალი საქართველოში. მოსავალს საქართველოში მეტათ ცუდი ჰორი უჩანს: გვალვები ისევ გრძელდება. კახეთში სეტყვამ მთლათ გააფუჭა ვენახები. ამავე დროს ბოლშევიკებმა სურსათ-სანოვაგებზე დააწესეს ნატურალური გადასახადი. სულ მილიონი ფუთი საქართვე-

ლოს. მეორდება რუსეთის მშებნა-მშენებელი შიმშილის წინაშე დგას.

პრტი მოხსენებებიდან. სამხედრო კომისარმა ასეთი მოხსენება მიიღო ერთ ქართული პოლიციდან. პოლკში კომ-იარეკია ვერ შესდგა, რადგან არც სალდათი და არც ოფიცერი ჩვენ არ თანაგვივტანობს, რაც დრო გადის მით უფრო მეტ ზიზლს იჩენენ ჩვენდამიო. კომისარის რეზოლიუცია ასეთია: «ჩანს ვერ გიშეშენიათ, თორემ ამოღებნანს ერთი კომ-იარეკი მაინც როგორ ვერ შექმენითო. «რუსეთში გენერლებიც კი ეწერებიან ჩვენთან და აქ რა დემრთი წერებათაო. პოლკ. კომ. უკასუხებს: «რუსეთში-რუსეთია», მაგრამ საქართველო სულ სხვა ყოფილია».

კომისრების გაქურდება. ბოლშევიკები აცხადებენ, რომ მათი ჩამოსვლის შემდეგ ყოველი ბოროტმოქმედება მოისპო, მით უმეტეს ქურდობა და მტაცებლობაო. მაგრამ ცხოვრება აი რას გვეუბნება. ქურდობა-კაჩალობამ მოიკცა მთელი მხარე. ქურდები ისე გათამამებული არიან, რომ ყოველი «მორიდება» დაკარგეს თვით ბოლშევიკების მეთაურებისაკი. ამას წინათ თფილისში გაქურდეს ს. ქავთარაძე, მე-11 არმიის ჩეკის თავმჯდომარე — პანკრატოვი, ქართული ჩეკის თავმჯდომარე — კ. ცინცაძე. ქურდები ცხადია სხვაგან ვერაფერს შოულობენ ბევრს და ისევ კომისრებს ეწვიენ, რომ «დატაცებულის დატაცება» მოახდინონ ლენინის ლოზუნგის თანახმად.

დუშეთის აოხრება. რუსის ჯარი სადაც გაივლის, ყოველივეს აპარტახებს. ამ მხრივ დიდათ შეწუხებული არიან ყველა სოფლები, სადაც ჯარი ბანაკობს, ან სადაც გზათ გაივლის. ამ აწიოკებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ თვით ბოლშევიკების კომისრებიც კი ალაპარაკა: აი ორიოდ კლებში ერთი მაზრიდან: «ქართული — სამხედრო გზაზე მომავალი წითელი ჯარის ნაწილები სისტემატიურათ აწიოკებენ მთელ დუშეთის მაზრას, გლეხობა და მშვიდობიანი მცხოვრებლები მაზრის წითელ არმიის ტერორის ქვეშ იმყოფებიან, რომელნიც თავის უფროსების ნებადაურთველათ ერეკებიან საქონელს დასაკლავათ, აჩერებენ გზაზე მგზავრებს, აწვლებენ და ართმევენ თუ რამე საფასოვნო აღმოაჩნდათ, უცვივლებიან გლეხებს სახლებში და გლეჯენ შეუბრალებლათ. თიფიანი მინდვრები, დათე-



სილი ნანები ერთიანთ შვაქამეს და გაათელ-
ვის თავის ცხენებს და სოფლიდან გატაცებულ
საქონელს. ადმინისტრაცია უძღურია ამ თვით-
ნებობას გზავლოს. კიდევ მეტი, მეორე ცხე-
ნოსანთა რაზმმა იარაღი კინაღამ აცარა მილი-
ციას, რომელიც სოფლებებს გამოეჭომაგა.
გთხოვთ განკარგულებას. სამაზრო მილიციის
უფროსი მანგიაშვილი.

ბეგრის ასეთი დეკემბერი დარჩა უეყრადღებოთ
თფილისის კომისრებისსაგან და აი განახლებით
25 ივლისს ხელახლა უქანასკნელათ თხოვეს ის
პასუხს: «დუშეთის რაიონსა და მის მახლობელ
სოფლებში დაბანაკებული წითელი ჯარი რაზ-
მის უფროსის ჩერნოვის მეთაურობით, უწესოე-
ბას ახდენენ და ბარბაროსობას ჩაიდან ასეთი
ხასიათისს: თავის ნებით უცივდებიან სახლე-
ში მცხოვრებლებს და სრულ ბატონ-პატრო-
ნათ ხდებიან მისი სახლ-კარის, რომელნიც სი-
კვდილის შიშით გარბიან იქიდან, რადგან გა-
ცარცვას გარდა, დარჩენილთ სცემენ და შემდეგ
აგდებენ ცის ქვეშ. სოფელში ართმევენ: ძრო-
ხებს ცხვრებს, ქათმებს და სხვ. სცემენ და აწა-
მებენ გლეხებს სრულიად უმიწეოთ, თვალის
სასიეროთ, თოჯ მოღვრებულთ შეუფარდებიან
გლეხებს და აშინებენ, განსაკუთრებით ქალი-
შვილებს, რომელნიც პირდაპირ დამლუპველ გა-
რემობაში ვარდებიან, მამაკაცები გარბიან მთაში,
ქალებს კი გათავხედეული სალდათები არა ადა-
მიანური წამებით აწამებენ, მხეცურ დამცირებას
აყენებენ. ანარქიული მოვლენები საშიშ ხასიათს
იღებენ და ამიტომ ვითხოვთ უქანასკნელათ სას-
ტიკ განკარგულებას. მილ. უფ. მანგიაშვილი.»

კომენტარები სპუირო არაა.

გაქვთ სასოფლო მასალები და იარაღები.

ჩვენ ხელ ჩაგვივარდა მრავალი განკარგულებანი,
რომლითაც უბრძანებენ რკინის-გზას მისცენ
ვაგონები ამა თუ იმ საქონლის გასატანათ მე-
ზობად რესპუბლიკებს და რუსეთის რეკომებს,
საიდანაც აშკარათ სჩანს, რომ ქართველი მო-
ლალატე კომუნისტები თვითონ ცარცვავენ თა-
ვის დამონებულ ქვეყანას. აი ზოგიერთი:

«კახეთის რკინის გზას. ნებართვის წარმო-
დგენისთანავე მიეცით თფილისის მილ. უფროსს
ჩხვიძეს 2 ვაგონი საჩუქრების გასაგზავნათ ბაქოს
ისპოლკომის სახელზე. აბელოვი ქანტურია».

«ვენეტორგიდან ნებართვის წარმოდგენისთა-
ნავე მიეცით დაღესტაეის ს. ს. რესპ. რეკომს

ერთი დაზურული ვაგონი ტენნიკურ მასალებით
დასატვირთავთ და 8 მოსამსახურე გააყოლოთ.
ლუკიანოვი, ქანტურია».

«ვენეტორგის ნებართვის წარმოდგენისთანავე
მიწოდეთ დაღესტანის პროდ ნუტის განყოფი-
ლებას 2 ვაგონი სამიწათმოქმედო იარაღებით,
სამკვედლო ინსტრუმენტებით, უნაგირებით და
სხვა ინვენტარით დასატვირთავთ და გააყოლოთ
მოსამსახურენი».

ცხადია კახელებს სცილიან უქანასკნელი იარა-
ღებიდან, რომელიც მათ ამ უქანასკნელ წლებში
შეიძინეს მეურნეობის და წარმოების გასაუმ-
ჯობესებლათ.

ბოლშევიკების ფოსტა. არც ერთ წერილს
ფოსტაში ბოლშევიკები გაუხსნეს არ სტოვე-
ბენ. ხშირათ იყო შემთხვევები, რომ ერთის
წერილს მეორეს კონვერტში სდებდენ. ამიტომ
ებლა ფოსტით წერილებს ალარაინ გზავნის.
კერძო დეკემბრის გაგზავნა აკრძალულია. მო-
სამსახურეებს ფოსტაში თითქმის არაფერი სა-
ქმე არ აქვთ. მიუხედავთ ამისა, მოსამსახურეთა
რჩიკები თფილისში გადიდებულია 60%/ო. კერძო
პირთათვის ტელეფონები მოსპეს.

უწყლობა. თფილისში ხშირათ მთელი დღე-
ებით წყალი არ არის. წყალსადენი ძლივსა
მუშაობს. შესაძლებელია მალე მთლად გაჩერ-
დეს.

გვირის ხსოვნას.

გულშემწარავი ცნობა გამართლდა:

თფილისში, საქართველოს დედა-ქალაქში,
საცა ებლა ის ქართველი ვაქატონები სხედან,
რომლებიც თავის თავს ქართულ მთავრობას
უწოდებენ, დახვრიტეს ქართველი მხედარი პე-
ტრე მარკოზაშვილი და დაჯვიტეს მხოლოდ
იმისათვის, რომ ის აშკარა ომში გმირულად
იცავდა საქართველოს, თავის სამშობლოს და
თავის ხალხს მომხდურ მოძალადებისაგან.

ვინ იყო მარკოზაშვილი, რა დანაშაული მი-
უძღოდა მას და ვინ არიან მისი ჯალათები?

მარკოზაშვილი, ქართველი მხედარი, ბოლ-
შევიკურ გადატრიალების დროს რუსეთში შერ-
ჩა. როცა დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო
ბრძოლა წითელ არმიასა და მეფის რეაქციის
მოტრფილე ჯარებ შორის, რევოლიუციო-
ნერი მარკოზაშვილი წითელ არმიასი შევიდა;



მთელი თავისი ახალგაზრდული ადფრთოვანებით, მთელი თავისი ორგანიზატორული ნიჭით და ძველებურ ქართველური სიგაყვითეობით და მხურბუბოდა იგი ბოლშევიკურ რუსე სრავაქციონერ ძალებისაგან დაცვის საქმეში, რადგან ეს მას რევოლუციონერის მოვალეობაში მიანიჭდა. მისმა გმირულმა მამაკობამ და განსაკუთრებულმა ნიჭმა მალე მიიქციეს სარდლობის გურადლება: სრულიად ახალგაზრდა მარკოზაშვილს მთელი საკავალერიო დივიზია ჩააბარეს; წითელ არმიასი მისმა გმირობამ მოუხვეჭა მას «წითელი გენერლის» სახელწოდება. 1920 წელს მარკოზაშვილი კავკავში გადმოგზავნენ. აქ მას მიენდო სპეციალური კავკასიის საკავალერიო დივიზიის შედგენა. «წითელი გენერალი» ჩვეულებრივი ვენტრალი შეფუდვა საქმეს. რუსეთის სარდლობა კი ამ დროს საქართველოს დასაპრობად ემზადებოდა და როცა დაინახა, რომ მარკოზაშვილის დივიზიაში ბლომათ იყო ქართველები, იქვი დაეძადა: საქართველოსთან ომის დროს სანდო არ იქნებოდა. ერთ მშვენიერ დღეს მარკოზაშვილის დივიზიას მოულოდნელად და უფროსის დაუყოთავად ალვა შემოარტყეს და იარაღი დაატრევიეს. ამ დეკტმა დაარწმუნა მარკოზაშვილი, თუ რა განზრახვები ქჰონდა წითელი არმიის სარდლობას საქართველოსადმი. მისთვის აშკარა გახდა, რომ დღეს თუ არა ხვალ რუსის ჯარი საქართველოს დაესხმოდა თავს და «წითელი გენერალი» ძალა უნებურად მოლაღატის როლში მოხედებოდა. ამის შემდეგ მას აღარ დაულოცებია სამშობლოს წინაშე ვალის ასრულება: დასტოვა წითელი არმია, გადმოლახა კავკასიის ქედი და თავისი ხმალი და სიკუცხლე ქართველ ხალხს მიართვა სამსახურისათვის. მარკოზაშვილი დაინიშნა გვარდიის ტენოსან დივიზიონში. როცა მოსკოვის ურდოები ჩვენი შინაური გაპეცილებების გზის ჩვენებით საქართველოს დაესხა თავს, მარკოზაშვილი სამშობლოსათვის თავდადებულთა პირველ რიგში ჩადგა და ომის განმავლობაში ერთ წუთსაც არ შეუსვენებია თავისი გმირული მარჯვენა. მიუხედავად მძიმე ურთობისა, ის უკანასკნელ წუთამდე (საჯევახოს ბრძოლებამდე) თავის რაზმს არ მოშორებია. შეწავდა შეიარაღებული ბრძოლა. საქართველოს მიველ ტერიტორიაზე მოძალადეების ბატონობა დამცარდა. ე. წ. საქართველოს რევოლუციის პირველი დეკ-

რეტი «ამნისტია» იყო. ეს ამნისტიის ექვემდებარება მხედარს, «ჯარის-კაცისა და გვარდიელიდან დაწებული მოფარ სარდლამდე». შემდგომ ორჯერ ოკციალური აქტიონ დადასტურა ამნისტია რევოლუციის ამისდა მიუხედავად მარკოზაშვილი—როგორც სხვა არა ერთი და ორი მხედარი და არა მხედარი—შეიპრეს (ქუთათისში) და წამსვე «საბქოთა» საქართველოს ნამდვილ ბატონ-პატრონს, შეფერტიმეტე არმიის «ოსობი ოტდელსა» (სამხედრო წევს) გადასცეს. რუსის გვარის ლაქებმა, ქართველმა კომუნისტებმა, იერტი კი გაბედეს მარკოზაშვილის სასარგებლოდ სიტყვა დაეძრათ. ცოცხლის-შემძღველ მატროს პანკრატოვის («ოსობი ოტდელის») თანმგლობრე) წინაშე, ისიკი ევერ გაუბედეს ცნობილ ჯალათს, რომ მოეთხოვათ მისთვის ქართველი მხედრის ე. წ. ქართულ ჩეკასთვის გადაცემა.

მარკოზაშვილი დახვრიტეს... თანამოაზრე ქართველი გმირი, სამშობლოსათვის თავდადებული, ამ თავდადებისათვის და ამ გმირობისათვის მოპკულს ღამის წყვდიადში, ვერაუროლად, გაუსამართლებლად... ისევე, როგორც მეორე ჩვენი გმირი, მეორე, ქართველი ხალხის თავდადებული შვილი, სტეფანე ანგეტლასევი დადუეს ისე, გავერანებულ რუსეთის ქალაქში.

მარკოზაშვილის სისხლი შეუერთდა იმ ქართველი ხალხის შეილებების ზღადა სისხლს, რომელიც წყვე-კრულვად აწვეს თავს ორჯონიკიძე-ელიავესს, მახარაძე-მიდინებს და სხვა მოლაღატე კომუნისტებს.

რუსის ჩემით გათელილი ქართველი ხალხი დღეს იმასაც მოკლებულია, რომ ჯალათების მიერ შეწირულ თავის გმირ შეილებების ხსრენას აშკარად და ახილად სათანადო პატივი სცეს. ქართველი ხალხი დამობრივი სიკვარულით და დრმა მწუხარებით ატრბებს ამ გმირებს თავის გულის სიღრმეში იმ დღემდე, როცა—განთავისუფლებულს—მას შეძლება ექნება საქვეწოდ აღიდოს თავისი ღირსეული შვილები და სამარადისოდ პატივი სცეს მათ ხსოვნას. ეს დღევე იქნება იმავე დროს მისი მოლაღატე, უღირისი, გარეწარის შვილების, ქართველ კომუნისტების, განკითხვის დღე...

მაქაური.

თავისუფალი საქართველო



უკროვის პრესიდან.

ამ ბოლო დროს უკროვის ბევრი სერიოზული ჟურნალი დიდ წორადღებვას აქცევს საქართველოს და საერთოთვალისწიანს საქათხს, მი სი შევიცართულ ძუერნალ დუევენებაში მოთავსებულთა გ. ბროშურის წერილი კავკასიის რესპუბლიკების შესახებ, რომლიდანაც მოგვყავს აქ ზოგერთი ადგილებში.

გვასულ წელს, სამმა ამირ კავკასიის რესპუბლიკამ, ხახელდობრ: სომხეთმა, აზერბეიჯანმა და საქართველომ, შუამდგომლობა აღძრეს ერთა ლიგის წინაშე მათი ლიგაში მიღების თაობაზე, მაგრამ მათი შუამდგომლობა, ისე როგორც შუამდგომლობა გველა სხვა რუსეთისგან ჩამოშორებულ სახელმწიფოების, გარდა პოლონეთისა და ფინლიანდიისა, უარყოფილ იქნა.

არ უნდა დათ ხელი ეხლოთ რუსეთის ტერიტორიის მთლიანობისათვის. საღრანგეთის მთავრობა უკანასკნელ დრომდე იცავდა იმ აბსურდულ პოლიტიკას, რომელიც იწვევდა შიშს ყველა მოაზროვნე რუსებში და ღველა საღრანგეთის ნამდვილ მეგობრებში—პატარა რესპუბლიკანურ ნაციებში: იგი ეღდა გვერდში რუმინთ მონარქისტ—კოლასკს, დენიკონს, იუდეინის, ვრანგელს, რომელნიც მთელი რუსეთის ხალხის და მათი მეზობლების მიერ უარყოფილი იყვნენ. რუსეთის გლეხობამ ბოლშევიკების გამარჯვებას უკია რჩია ამ რეაქციონერების გამარჯვებას.

მას შემდეგ, მოკავშირეთა პოლიტიკამ განიცადა დიდი ტრანსფორმაცია. ესტონეთი და ლატვია ითურიდელითა ცნობილი იქნენ, ისინერთა ლიგაში მონაწილეობას მიიღებენ.

საქართველოც ითურიდელად ცნობილი იქნა, მარა ამან ხელი არ შეუშალა ამ უბედურ ქვეყნის დაპყრობაში რუსეთს, რომელიც დღეს გაბატონებულია იქ, ისე როგორც აზერბეიჯანში და სომხეთში და ავიწროვებთ მათ ისე, როგორც მთიულთა რესპუბლიკის მტხოვრებლებს (ჩენებს, ინგუშებს და სხ.) მაგრამ დღე განაიესუსუფლების ახლოა. კავკასიელებმა ბოლოს და ბოლოს გაიგეს, რომ მხოლოდ მათ კავშირს შეუძლია გამოიყვანოს ისინი განთავისუფლებს გზაზე.

სამი რესპუბლიკის სახელმწიფო პირები, რომელთაც შეუერთდა ჩრდილო მთიულთა რეს-

პუბლიკაც, მიხედნენ, რომ დადგა დრო შეკავშირების. გაზეთებში უფე ილა ცნობა იმ შეკავშირების შესახებ, რომელიც გადასაკეცვს ნამდვილ კონფედერაციად, დიდ შევიცართულ რომელ შიდაც. მოქცეული იქნება ათიოდე მილიონი მტხოვრები, სხვა და სხვა ერთეულების და სარწმუნოების კათოლიკები, ორტოლოქსები, სომხები, ქართველები, ებრაელები, გარანიმები, მუსლიმანები და სხ. დიდი ხანია სარწმუნოებმა ალარ იწვევს დანატირს. და ეს კონფედერაცია შესძლებს დიდი პროგრესის გზაზე გამოიყვანოს ეს ქვეყნები, რომელნიც ძველად ასე შევიწროებულნი იყვნენ რუსებისაგან.

